საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№16/14 „03“ მარტი 2013 წ.

შ.პ.ს. ”ვალეო”-ს დირექტორს
ბატონ ვახტანგ ცქიმანაურს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დიღომში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ შ.პ.ს. ”ვალეო”-ს შენობას, სადაც განთავსებულია სამედიცინო პროფილის დაწესებულება. არსებული შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მოშენების გაბარიტული ზომებით პირველი სართულის ფარგლებში l×b=16.5×8მ. მეორე და მესამე სართულების გაბარიტული ზომებია l×b=17.1×9.2მ; ვინაიდან მეორე და მესამე სართულების დონეებზე მას გააჩნია კონსოლური ნაშვერები სიგრძით 60სმ. სინათლეში.

საკვლევი შენობა სამ სართულიანია, კონსტრუქციულად კარკასული ტიპის. სართულის სიმაღლეა h=330სმ. კარკასის სვეტების განივი კვეთებია b×h=40×40სმ. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები, რომლებიც დამონტაჟებულია მონოლითური რკინაბეტონის რიგელებზე. შენობის საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ურთიერთგადამკვეთი ლენტები, განივი კვეთებით b×h=60×110სმ. ლენტები სვეტთან მიმდებარე ზონებში შებრუნებულია 45^0-ით, იმგვარად, რომ მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ბალიშები გეგმითი ზომებით b×h=100×100სმ.

შემოწმებით დადგინდა, რომ საკვლევ შენობას რამდენადმე მნიშვნელოვანი დეფორმაციები და დაზიანებები არ აღენიშნება და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

ამჟამად შ.პ.ს. ”ვალეო”-ს ხელმძღვანელობის სურვილია არსებულ შენობას დააშენოს ერთი სართული, რისთვისაც წარმოდგენილია დამუშავებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

საკითხის შესახებ შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების _”სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ. 01.01-09) ცხრილი №8 საფუძველზე, შესაძლებლად მიგვაჩნია ერთი სრული სართულის დაშენება. დაშენებული სართულის სვეტების განლაგება გეგმაში უნდა

იყოს ქვედა სართულების სვეტების განლაგების ანალოგიური. სართულის სიმაღლე პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით, 330სმ.-ია. (გადახურვის ნიშნულით 13.20მ.). აღნიშნულ ნიშნულზე გადახურვად არ უნდა იქნას გამოყენებული რკინაბეტონის კონსტრუქციები. გადახურვის მოწყობა შესაძლებელია მსუბუქი ელემენტებით, მაგალითად ფოლადის პროფილებისა და ხის კომბინაციით. თერმო და ბგერათსაიზოლაციოდ შესაძლებელია გამოყენებული იქნას ქაფპლასტის ფილები, მინაბოჭკოვანი ქსოვილი და სხვა. ასევე გაცნობებთ, რომ პერიმეტრის შემომზღუდავ კედლებად სასურველია გამოყენებული იქნას 20სმ. სისქის ქაფბეტონის ან გაზობეტონის წვრილი საკედლე ბლოკის წყობა, ცემენტ-ქვიშის ხსნარზე, რომელთაც გააჩნიათ მაღალი თერმოსაიზოლაციო თვისებები.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/